ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი

პროფესორი გიორგი ასათიანი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი არჩილ ალადაშვილი



ასისტენტ-პროფესორი თეიმურაზ მგელიაშვილი

ასისტენტ - პროფესორი მარგალიტა (მაკა) გოგოლაძე

ასისტენტ - პროფესორი ნანა ხოტენაშვილი

ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი

1919 წლის 10 იანვარს თსუ-ში დაარსდა საქართველოს ისტორიაში პირველი ქირურგიული კათედრა პირვანდელი სახელწოდებით „ქირურგიული პათოლოგიის კათედრა“, შემდგომში მას ეწოდა „ზოგადი ქირურგიული პათოლოგიის კათედრა პროპედევტიკული კლინიკით“.

დაარსების დღიდან მისი გამგე იყო აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე, რომელსაც შეუფასებელი წვლილი მიუძღვის ქართული ქირურგიული სკოლის ჩამოყალიბებაში. 1921 წლის 23 მაისიდან კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ნიკოლოზ კახიანი, საქართველოში მეცნიერული და კლინიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი გარდაცვალების შემდეგ 1928 წლიდან კათედრის გამგე გახდა პროფესორი კონსტანტინე ერისთავი, შემდგომში აკადემიკოსი, თსსი რექტორი და ქირურგიის ინსტიტუტის დამაარსებელი. ამ პერიოდიდან კათედრას კიდევ ერთხელ შეეცვალა სახელი და ეწოდა ზოგადი ქირურგიის კათედრა. 1941 წლიდან თსსი სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრა განთავსდა ქალაქ თბილისის II საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე, რომელსაც წარსულში „ალექსანდრეს საავადმყოფო“ ეწოდებოდა. კათედრას ამ დროს ხელმძღვანელობდა პროფესორი ეფრემ ზაქარაია (1940-1947); შემდგომ კათედრის გამგეები გახლდათ პროფესორი დავით იოსელიანი (1947-1967), პროფესორი მიხეილ ჩაჩავა (1967- 1979), პროფესორი გიორგი (გოგი) ბოჭორიშვილი (1979 1981), პროფესორი გივი გონჯილაშვილი (1981- 1999) პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე (1999-2014), პროფესორი ილია ჭანუყვაძე (2014-2022). 2022 წლიდან თსსუ ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი გიორგი ასათიანი. დეპარტამენტი განთავსებულია თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე, დეპარტამენტში ამჟამად მოღვაწეობენ: ასოცირებული პროფესორი არჩილ ალადაშვილი, ასისტენტ პროფესორები მარგალიტა გოგოლაძე, თეიმურაზ მგელიაშვილი და ნანა ხოტენაშვილი; დეპარტამენტის უფროსი ლაბორანტი როსტომ ცხვედიანი.

სასწავლო წლის განმავლოგაში დეპარტამენტში საწავლო პროცესს გადის 1000-მდე სტუდენტი, ასევე ტრადიციულად მიმდინარეობს სამკურნალო და სამეცნიერო მოღვაწეობა, წლების განმავლობაში გამოცემულია ზოგადი ქირურგიის 6 სახელმძღვანელო, მათ შორის ერთი ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის, ასევე დამხმარე სახელმძღვანელო ზოგადი ქირურგიის პრაქტიკუმი, გამოქვეყნებულია მრავალი სტატია და მონოგრაფიები ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. დეპარტამენტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო ფორუმებში. სხვადასხვა დროს დანერგილია აბდომინური ქირურგიის, თორაკოქირურგიის, ტრავმატოლოგიის, ფტიზიოქირურგიული და სხვა ოპერეციების ახალი მეთოდები. პირველად საქართველოში კლინიკაში დაინერგა გულმკერდის ლიმფური სადინრის დრენირების, ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის, საკერავი მასალა ამიცელონის გამოყენების, თიაქარკვეთის ორიგინალური მეთოდი, სხივური ტრამვით გამოწვეული ავადმყოფობის მართვა და სხვა.